ოქმი №20

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2019 წლის 31 მაისი

ოქმი №20

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2019 წლის 31 მაისი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ხოშტარია.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: გ. კუპრავა, გ. მიგინეიშვილი, კ. კუჭუხიძე, ტ. ხოშტარია, გ. კუცია, რ. ჩაჩავა, ე. ნოდია, ზ. ალასანია, ი. ჭანტურია.

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-აპარატის უფროსი გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნათია კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ".
   მომხს: გ. კუცია
2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.
   მომხს. გ. ხოშტარია

1

მოისმინეს:

„აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ".

მომხს: გ. კუცია

მომხსენებელმა გ. კუციამ ბიუროს წევრებს გააცნო „აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ" განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: გ. ხოშტარიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – „აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ"განსახილველად გატანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი შ. დარცმელიძე.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

მომხსენებელმა გ. ხოშტარიამ წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნეს 2019 წლის 3 ივნისს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ".
   მომხს: შ. დარცმელიძე

საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ბიუროს ყველა წევრმა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს
სხდომის თავმჯდომარე: გ. ხოშტარია